H-F-H
History-Film-History

90-იანი წლები იტალიაში ხასიათდება ტანგენტოპოლის, პოლიტიკური კორუფციის ფართოდ გავრცელებული სისტემის მოვლენებით. ეს ტერმინი პოლიტიკურ ჟარგონსა და ჟურნალისტიკაში გამოიყენებოდა გეოგრაფიული ტერიტორიების, სახელმწიფო ორგანოების, პარტიების, ფრაქციების აღსანიშნავად, რომელთა ფუნქციონირებაში, როგორც ჩანს, დომინირებდა მექრთამეობა. ამ თვალსაზრისით, ტერმინი გახდა კორუფციის სინონიმი, როგორც კერძო ფულის სანაცვლოდ მთავრობის გადაწყვეტილებებზე პრივილეგირებული წვდომის ქონა. ამავე წლებში შევესწარით კომუნისტური რეჟიმის დაცემის შედეგებსაც, რამაც გამოიწვია ალბანეთიდან იტალიაში იმიგრაციის ინტენსიური პროცესი.

ამ კონტექსტში, ჯანი ამელიოს ფილმი Lamerica ძლიერ აქტუალური აღმოჩნდა. სინამდვილეში, ყურადღება გამახვილებულია არა მხოლოდ ალბანელების იმიგრაციაზე, არამედ ბიზნესის განვითარების პოტენციალზე ისეთ ქვეყანაში, რომელიც ძალიან ახლოს მდებარეობს და სადაც იტალიის კანონების გვერდის ავლა არის შესაძლებელი.

ეს ზუსტად ფილმის დასაწყისშია ნაჩვენები, სადაც პოტენციური თაღლითობის ზედაპირული შეთქმულება გადაიქცევა მსჯელობად იმიგრაციის დიდ ზეგავლენაზე, ოცნებებზე და უცხო ქვეყნის აღქმაზე, როგორც იტალიელების ალბანეთთან მიმართებაში, ასევე პირიქით.

მიუხედავად იმისა, რომ 1990-იანი წლები იტალია ხასიათდებოდა ეკონომიკური ზრდის შენელებით და პოლიტიკური სკანდალების შემოტევით, როგორიც იყო Mani Pulite, ალბანელებისთვის იტალია, ალბათ, „ამერიკულ ოცნებას“ წარმოადგენდა, - ქვეყანას, სადაც შეეძლოთ საკუთარი თავის რეალიზება და სადაც არ ექნებოდათ პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დეფიციტი.

ამელიოს ფილმი იდეალურად, რიტორიკის გარეშე აღწერს ამ ასპექტებს და, ალბათ, ამ მიზეზით რჩება ის იმ წლების იტალიის ისტორიის მოწმედ.

Co-funded by the European Union
Creative Europe MEDIA